



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N14

ქ. მარნეული

08.08.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: -

ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ქამილ ალიევი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, რაგიმ ასკეროვი, გიორგი შუკაკიძე, რაფიკ მუსაევი. ასევე იმის გამო, რომ საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე იმყოფება შვებულებაში, სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრი ჯომგუნ ზეინალოვი.

სხდომას არ ესწრებოდა: ნაზი აბდულაევი, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, აზიდ ოსმანოვი,

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბესიკ გუჯეჯიანი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი დავით ხარშილაძე, მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი ზამბახიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

2. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 29 ივლისის N25-05 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

### 3. სოციალური საკითხები

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 აგვისტოს N03/5029 წერილის განხილვის შესახებ

#### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნაბი აბდულაევი იმყოფება მივლინებაში, ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვალერი მეტრეველი, რომელმაც სხდომის დაწყებამდე ბიუროს წევრებს სთხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისათვის და კიდევ ერთხელ იქნა გახსენებული მარნეულის მუნიციპალიტეტიდან ამ ომში გმირულად დაღუპული მებრძოლები.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ჯოშგუნ ზეინალოვმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილით შემოსული საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილით შემოსული უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელზეც ვრცელი განმარტებები გააკეთა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსმა დავით ხარშილაძემ და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარმა სპეციალისტი გიორგი ზამბახიძემ. განისაზღვრა ის ადგილები, სადაც ნებადართულია გაიკრას წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალა, ასევე ის ადგილები სადაც აკრძალულია მათი გაკვრა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ჯოშგუნ ზეინალოვმა ბიუროს წევრებს გააცნო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 29 ივლისის N25-05 მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეეხება მოქალაქე ვახიდ იუსუბოვზე (პ/ნ 28001068860) მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული 2013 წლის 12 მარტის N54 საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმებას, ვინაიდან იგი გამოცემული იქნა რიგი დარღვევებით და მისი გაუქმებისათვის, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჭიროა კომისიის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს, ამ შემთხვევაში საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა და ამავე კომისიის წევრმა ბესიკ გუჯუჯიანმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ბიუროს წევრებს გააცნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილებით შემოსული იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც ვერ ჯდებიან მოქმედ სოციალურ პროგრამაში, განეკუთვნებიან განსაკუთრებულ შემთხვევებს და ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული

დახმარებები. სულ წარმოდგენილი 13 განცხადებიდან კომისიის გადაწყვეტილებით ასეთ კატეგორიას განეკუთვნება 6 მოქალაქე, რომლებზეც უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა, იმის გათვალისწინებით რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კოტე ბოჭოიძე იმყოფება შვებულებაში, ხოლო შვებულების პერიოდში მისი ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრი არსენ ახვერდიანი არის სამსახურებრივ მივლინებაში, ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 აგვისტოს N03/5029 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას შორის 2016 წლის 26 ივლისს გაფორმებული N7 ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეთოთხმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი:

ვალერი მეტრეველი